

## ბიზნესი და აუდიტი გლობალიზაციის პროცესში

### ნიკოლოზ ბაკაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, საქართველო

### საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, აუდიტი, ბიზნეს სტრუქტურა, გლობალიზაცია

კაცობრიობას თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში უამრავი გამოწვევები აქვს სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული და ა.შ. მიმართულებით, მაგრამ უმნიშვნელოვანესს, გამოწვევათა შორის, წარმოადგენს ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე ნებისითი თუ უნებლიე, საკანონმდებლო თუ სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი კანონზომიერებების გლობალიზაციის პრობლემებთან მიმართებაში ახლებური გამოვლენა.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ყველა ეტაპზე ბიზნესისათვის დამახასიათებელი მგრძობელობა შიდა თუ გარე გარემოზე განსაკუთრებით სენსიტიურია გლობალიზაციის პირობებში. თუ გავითვალისწინებთ, სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებზე მოქმედ გარე ფაქტორებს რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია აღნიშნული ბიზნეს სტრუქტურების ეკონომიკურ ქცევაზე, მაშინ გლობალიზაციის ყბადღებულ პრობლემებს, რა თქმა უნდა დადებით მოვლენებთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა ძალუძთ, რაც თავის მხრივ იწვევს არსებული ბიზნეს სტრუქტურების ე.წ. „ბუნებრივი გადაარჩენის“ პროცესის დაწყებას.

ბიზნესი არის სფერო სოციუმის აქტივობისა, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მოთხოვნებით, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია მისი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გამჭვირვალობა და ლეგიტიმურობა.

რამდენადაც გლობალიზაციის პროცესს თან ახლავს ბიზნეს სუბიექტების სახით გადარჩენისათვის ბრძოლა, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა შესაბამისი რეგულაციები (შრომითი, ფულადი, ნედლეულითა და/ან სხვა მატერიალური თუ არამატერიალური) უზრუნველყოფა, საკანონმდებლო სისტემაში კანონმორჩილი ლავირების უნარი, ინვესტიციამომზიდველობის უზრუნველყოფა, კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელის იმიჯი, საერთაშორისო ჰარმონიზებულ საბაჟო-საგადასახადო პოლიტიკასთან შესაბამისობა, პარტნიორულ და/ან აქციონერულ კაპიტალში მონაწილეობა მიერ ნდობისა და გამჭვირვალობის დამკვიდრება, შესაძლო კონტრაგენტებთან მდგრადი ფინანსური მდგომარეობის იმიჯის დასტური და ა.შ.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის უზრუნველყოფა კი მიღწევადაა საბაზრო ინფრასტრუქტურის იმ უმნიშვნელოვანესი სეგმენტის გამართულ მუშაობით, რომელსაც აუდიტი ჰქვია, რადგან აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მასალები არის ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის გამჭვირვალობის, ფინანსური მდგრადობის, ინვესტიციამომზიდველობის, კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელის იმიჯის და

სასურველი პარტნიორის სტატუსის მოპოვების საფუძველი.

თვითონ აუდიტორული საქმიანობის სათავე ინგლისის სამეფო კარზე მე-14 საუკუნეში ჩაისახა, მაგრამ საქართველოში ამ საქმიანობის საკანონმდებლო რეგულაციები 1995 წლიდან დაიწყო, როცა საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (1995 წლის 7 თებერვალი N623 კანონი), შემდეგ 2012 წლიდან მიღებული იქნა კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ (2012 წლის 29 ივნისი N6598 კანონი), ხოლო დღეისათვის მოქმედებს 2016 წლიდან მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (2016 წლის 8 ივნისი N5386 კანონი).

საქართველოში შემოღებულია და მოქმედებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოები ბუღალტერთა და აუდიტორთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, რომლებითაც განსაზღვრულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალურობისა და პროფესიული ქცევის ნორმები.

ქვეყანაში შემოღებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) და მცირე საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (მსს ფასს).

ახალი კანონის ამოქმედებისთანავე შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, რომელიც უწევს რეგულირებას საქართველოში. საბუღალტრო-სააღრიცხვო-საანგარიშგებო და აუდიტორულ საქმიანობას საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებისა და კანონის შესაბამისად. აღნიშნული სამსახურის მიერ შემუშავებულია რეგულაციები პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, ხარისხის უზრუნველყოფის, პროფესიული ეთიკისა და აუდიტორული მომსახურების სტანდარტების მიმართულებით, ასევე განსაზღვრული განვრძობითი განათლების სტანდარტებისა და პროფესიული სერტიფიცირების პროცედურები.

ევროკავშირთან პროცესების ხელშეკრულების გაფორმებით აღებულია ვალდებულებებმა, განაპირობა გაგვეთვალისწინებინა ევრო დირექტივა 2013-34 „ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ და ევრო დირექტივა 2006-43 „აუდიტის შესახებ“.

მოხდა საწარმოთა ახლებური კლასიფიკაცია ზომების მიხედვით: მსხვილი, საშუალო, მცირე და მიკრო ბიზნესის სუბიექტებად.

სწორედ აღნიშნული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით რეგულაციები არის მიმართული ერთიანი ევროპული ოჯახის სტანდარტებზე ჩვენი ეკონომიკის მორგებისაკენ, რითაც ქვეყნის სამეწარმეო-ეკონომიკურ ცხოვრებაზე უკვე აისახება გლობალიზაციის ნებისითი თუ უნებლიე შედეგები.

ამდენად, გლობალიზაციის პროცესში ბიზნესის ადაპტაციის პროცესს თან ახლავს აუდიტორული სეგმენტის დატ-

ვირთვის შესამაბისი ზრდა და თავად აუდიტის სფეროსთვის დამატებითი მოთხოვნებისა და რეგულაციების წაყენების გარდაუვალობა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თავად აუდიტის სფეროსა და პროფესიაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევებია დღეს საქართველოში გლობალიზაციის პირობებიდან გამომდინარე, რამაც წარმოიქმნა რიგი საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებები ქვეყანაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Barrett, M., Cooper, D. and Jamal, K. 2005. 'Globalization and the Coordinating of Work in Multinational Audits', *Accounting Organizations and Society* 30(1): 1–24.
2. Bell, T., Peecher, M. and Solomon, I. 2005. *The 21st Century Public-Company Audit: Conceptual Elements of KPMG's Global Audit Methodology*. Montvale, NJ: KPMG.
3. Bishop, C.C., Hermanson, D.R. and Houston, R.W. 2012. 'PCAOB Inspections of International Audit Firms: Initial Evidence', *International Journal of Auditing* 17(1): 1–18.
4. Carcello, J., Carver, B. and Neal, T. 2011. 'Market Reaction to the PCAOB's Inability to Conduct Foreign Inspections', SSRN. Available at <http://ssrn.com/abstract=1911388> (accessed 19 July 2013).
5. Carson, E., Simnett, R., Soo, B.S. and Wright, A.M. 2012. 'Changes in Audit Market Competition and the Big N Premium', *Auditing: A Journal of Practice & Theory* 31 (3): 47–73.
6. Choi, J.H. and Wong, T.J. 2007. 'Auditors' Governance Functions and Legal Environments: An International Investigation', *Contemporary Accounting Research* 24(1): 13–46.
7. Deumes, R., Schelleman, C., Vander Bauwhede, H. and Vanstraelen, A. 2012. 'Audit Firm Governance: Do Transparency Reports Reveal Audit Quality?', *Auditing: A Journal of Theory and Practice* 31(4): 193–214.
8. European Commission (EC). 2010. *Audit Policy: Lessons from the Crisis*. Available online at <http://europa.eu/rapid/press-releasesAction.do?reference=IP/10/1325&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en> (accessed 19 July 2013).
9. Francis, J.R. 2011. 'Auditing without Borders', *Accounting, Organizations and Society* 36(4–5): 318–323.
10. Francis, J.R. and Wang, D. 2008. 'The Joint Effect of Investor Protection and Big 4 Audits on Earnings Quality around the World', *Contemporary Accounting Research* 25(1): 157–191.
11. Francis, J.R., Michas, P.N. and Seavey, S. 2013. 'Does Audit Market Concentration Harm the Quality of Audited Earnings? Evidence from Audit Markets in 42 Countries', *Contemporary Accounting Research* 30(1): 325–355.
12. General Accounting Office (GAO). 2003. *Public Accounting Firms: Mandated study on consolidation and competition*. GAO-03–864. Washington, DC: General Accounting Office.
13. House of Lords Economic Affairs Committee. 2011. *Auditors: Market Concentration and their Role*. Available online at [www.parliament.uk/business/committees/committees-a-z/lords-select/economic-affairs-committee/publications/](http://www.parliament.uk/business/committees/committees-a-z/lords-select/economic-affairs-committee/publications/) (accessed 19 July 2013).
14. Humphrey, C., Loft, A. and Woods, M. 2009. 'The Global Audit Profession and the International Financial Architecture: Understanding regulatory relationships at a time of financial crisis', *Accounting, Organizations and Society* 34(6–7): 810–825.
15. Jenner and Block. 2010. *Lehman Brothers Holdings Inc. 'Chapter 11 Proceedings Examiner Report'*. Available online at <http://jenner.com/lehman/> (accessed 19 July 2013).
16. Maijor, S. and Vanstraelen, A. 2012. 'Research Opportunities in Auditing in the EU Revisited', *Auditing: A Journal of Practice and Theory* 31(1): 115–126.
17. Michas, P.N. 2011. 'The Importance of Audit Profession Development in Emerging Market Countries', *The Accounting Review* 86(5): 1731–1764.
18. Verleyen, I., and De Beelde, I. 2011. 'International Consistency of Auditor Specialization', *International Journal of Auditing* 15(3): 275–287.

## BUSINESS AND AUDIT IN THE PROCESS OF GLOBALIZATION

**NIKOLoz BAKASHVILI**

Doctor of Economic Sciences, Professor,

Academician of the Academies of Economic and Business Sciences of Georgia, Georgia

**KEYWORDS:** BUSINESS, AUDIT, BUSINESS STRUCTURE, GLOBALIZATION

### SUMMARY

Humanity has a lot of challenges in regard of social, political, ethnic, religious, gender etc. direction within the context of modern globalization, but innovative reveal of the natural regularities in regard of the globalization process characteristic of legislative and social-economic systems taking place willfully or involuntarily, can be considered as the most important one among the mentioned challenges.

Sensitivity of business to the internal or external environment characteristic of business within the conditions of globalization can be considered as especially sensitive at all stages of the social-economic formation. If we take into consideration the impact of external factors, affecting social-economic systems, on the economic behavior of the mentioned business structures, the problems related to globalization can have extremely important impact together with the positive events. The latter, on its side, causes the start of so-called "natural survival process" of existing business structures.

Business is the field of activity of society distinguished with special requirements. Transparency and legitimacy of the financial-economic situation can be considered as the most important among the mentioned requirements.

Since the globalization process is accompanied by the

strife for survival in a form of business subjects relevant resources (labor, financial, material and/or other material or non-material) will be provided. This may contain: ability to make law-abiding maneuvering within the legislative system, attractiveness of investment, image of honest taxpayer, compliance with the international harmonized customs-tax system, establishment of trust and transparency by the participants of partner and/or equity capital, confirmation of stable financial image with possible contractors and so on.

All the above mentioned can be achieved through proper working of the most important segment of market infrastructure such as audit. Materials of audited financial statements form the basis of transparency of working of business subjects, financial stability, image of honest tax payer and obtaining of desired partner status.

Herein, business adaptation process is accompanied by the relevant increase of load of audit segment and inevitability of additional requirements and regulations for the field of audit within the globalization process. It should also be noted that important challenges can be perceived in regard of audit profession and auditorial activity as well that is caused by the process of globalization. That caused a number of legislative and structural changes in the country on its side.